წელიწადი I-ლი

ოთხშაბათი 12 იანვარი

ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან.
4 „ „ „ . . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 7 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 7

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

ორშაბათს, 10 იანვრიდან 1921 წ. დრამა მონაწილეობას მიღებენ ხერუვიმოვაა გედევანოვა, ბიბიკოვა ი გრეია,

სიყვარული და ქურდობა
—II
სანახაობა ფინეთში
—III—
ს ა ქ მ ა რ ო ს ჩ ა მ ა დ ა ნ ი სახუმარო სურათი.

ანონსი პარასკევს 14 იანვარს შემდეგი პროგრამა!

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

პარასკევიდან 7 იანვრიდან 1921 წ. საშობო პროგრამა!

უდანაშაულოთ გასამართლებული
ოცი წლის კატორღა.
(ევანგელისტი)
დრამა სემინარიელების ცხოვრებიდან.

ფ რ ა ნ გ უ ლ ი კ ა მ ა რ ი ნ ი

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება დასადგმელად რ კ ი ნ ი ს კ ა ნ ც ლ ე რ ი.
ა ნ ო ნ ს ი: ოთხშაბათიდან 12 იავრიდან წავა ახალი სურათები.

## განცხადება.

ბათომის ქალაქის გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცხადებს, რომ მან მოიმარაგა რა საჭირო მასალები ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ქვა ფენილების შესაკეთებლათ სჭირდება მოხელე, რომელსაც შეიძლება ექნება აიღოს მთელი სამუშევარი, რისთვისაც ნიშნავს ფარული შეჯიბრების დღეთ 7 იანვარს, დღის 12 საათზე და იმ დღეს მსურველნი, სამუშევარის აღების, უნდა გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ფარულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. ყოველ გვარ ცნობების მიღება, დასახელებულ სამუშევარის შესახებ შეიძლება გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღიურათ, შეჯიბრების დღემდე, დილის 9 სათიდან შუა დღის 3 საათამდე.

3—2 ქალაქის გამგეობა.

ბ ა თ ო მ ი ს მ უ შ ა თ ა მ ა გ ი დ ა

კარაქი, მიღებული ბათომის საბაჟოდან, მაგიდის მიერ გადაეცა კოოპერატივ

„ს ხ ი ვ ს“

ბათომის სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეზე გასანაწილებლათ, გირვანქა კარაქი გაყიდულ უნდა იქნას 630 მანეთად სულზე ნახევირი გირვანქა.

2 მუშათა მაგიდა.

## განცხადება

მუშათა მაგიდის მიერ დაწესებულ წესების თანახმათ მაგიდის დეფიციტის დასაფარავათ ფული უნდა შემოიტანონ დამქირავებლებმა ის დამქირავებლები რომელიც აიძულებს მუშას ან მოსამსახურეს შეიტანს მაგიდაში ხსენებული ფული—ჩემ მიერ იქნება

მ ი ც ე მ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს გ ე ბ ა შ ი

გთხოვთ კავშირთა საბჭოს, გამგეობებს და პროფესიონალურ ორგანიზაციების წევრებს აცნობონ შრომის კომისარიატს ყოველივე შემთხვევა დამქირავებელთა მხრივ მაგიდის წესების დარღვევისა.

20 შრომის კომისარი ა. წულაძე.

## ამით ეუწყება საყოველთაო ცნობისთვის, რომ თანახმად დადგენილებისა

(საგენტურო საკომისიო სატრანსპორტო სამ.) „ენერგია“ 1 იანვრიდან 1921 წ. შეუდგა თავის ლიკვიდაციას.

ყველა იმ პირთ ვისაც კი რაიმე პრეტენზია აქვთ ამ ფირმის შესახებ უნდა მიმართონ სანაპირო ქ № 87

განცხადება შეტანილი უნდა იქმნას 15 დღის განმავლობაში ამის შემდგომ ფირმა ითვლება გაუქმებულად და პრეტენზიების მიღება არ იქნება.

შ მ ა ე ვ ს კ ი ს თ ე ა ტ რ ი
| სახალხო წარმოდგ მმართველი წრე |

№ 19

ოთხშაბათი, 12 იანვარი.

სიო ჭანტურიშვილი

# მ ო რ ე ვ შ ი

დრამა 3 მოქმ.

რეჟისორი ივ. ბარველი.

მონაწილეობენ: ივალიშვილი ბ., გუგუშვილი ა., მდივანი მ., მარგველაშვილი ვ., ძნელაძე დ., ლამბაშიძე შ., ხონელი ე
მონაწილეობენ: მსახიობნი და სცენის მოყვარეთა მთელი წრე.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. — დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

შემდეგი წარმოდგენა ოთხშაბათს, 19 იანვარს
მარო მდივანის ბ ე ნ ე ფ ი ს ი.

## განცხადება.

ბათომის ქალაქის თვითმართველობა

სამი იანვრიდან 1921 წ. ხსნის

საჯარო ვაჭრობის დარბაზს

ყოფილ ლომბარდის შენობაში.

დარბაზი მიიღებს ყოველგვარ საქონელს ძვირფას ნივთებს, ოქრო, ვერცხლს, ავეჯს, ტანისამოსს და სხვა ყოველგვარ სხვილ თუ წვრილ საგნებს, რომლებიც გაიყიდება დანიშნულ დღეს საჯარო ვაჭრობით. საჯარო ვაჭრობა შეიძლება აგრეთვე დაინიშნოს დარბაზის გარეთაც, სადაც ამას საქონლის პატრონი მოითხოვს. საჯარო ვაჭრობიდან აღებული ფული გადაეცემა მეპატრონეთ სრულიად ე. ი. პროცენტების გამოუკლებლათ.

3—2 ბათომის ქალაქის გამგეობა.

# განცხადება

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 იანვარს ამა 1921 დანიშნულია გადაჭრითი საჯარო ვაჭრობა სასწორებისა ნურიისა და ართვინის ბაზრებში ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ გირაო 50,000 მანეთი თითოეულ ვაჭრობაში მონაწილეობისათვის.

ვაჭრობა იქნება სიტყვიერი ყოველგვარ პირობების განცნობა შეიძლება გაეცნონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე ყოველ საქმე დღეს ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე.

1—2 25 ქალაქის გამგეობა.

## ბათომი, 12 იანვარი.

საქართველოს დემოკრატიის შეუდრეკელი მუშაობის შედეგია, რომ ჩვენ მკვიდრ ნიადაგზე აგებული სახელმწიფო წყობილება გვაქვს, ჩვენი დემოკრატიის შრომს და გამჭრიახობას უნდა მიეწეროს, რომ მტერთა მწყობრი და გამუდმებული გამოსვლები ვერ არყევენ იმ საფუძველს, რომელზედაც აგებულია ჩვენი სახელმწიფო და რომლის ფეხზედ დარაჯათ ჩვენი ხალხი სდგას. ცხადია, ჩვენმა ხალხმა გამოიჩინა დიდი უნარი საკუთარი ცხოვრების მოწყობისა და ეს არის დიდი თავდები ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის სიმტკიცისა.

მაგრამ ჩვენს დემოკრატიას კარგად ესმოდა, რომ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებელი არსებობა და მისი მშვიდობიანი განვითარება მაშინ არის უზრუნველი ყოფილი, თუ მოხერხდება მეზობელ ერებთან მშვიდობიანი განწყობილების ჩამოგდება, მათთან მეზობლური მჭიდრო კავშირის შეკვრა.

ჩვენი სახელმწიფოს მესვეურთა ცდა აქეთ იყო მიმართული, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელნი ცდილობდენ მეზობლებთან შეთანხმებას, ყველა სადაო საკითხების მშვიდობიანათ გადაწყვეტას და ისეთი პირობების შექმნას, რომელიც შეძლებას მისცემდა აქ მცხოვრებ ერებს მთელი ყურადღება შინაურ ზრდა განვითარებისკენ მიექცათ.

საქართველოს საგარეო ხაზი გავლებული ყველა მის გამოსვლებში იყო ხაზი ამიერ კავკასიაში ისეთი საერთაშორისო პირობების შექმნის, რომელთა საშვალებით ამ ერების ინტერესთა სხვა და სხვაობას მოარიგებდა, მათ დამოკიდებულებას სიმშვიდეს დაუკარგავდა და მათი დაახლოვების და მეგობრობის გასამტკიცებლათ სასურველ ნიადაგს მოამზადებდა.

საქართველოს კარგათ ესმოდა, რომ თვით მისი განვითარება, თავისი სასიცოცხლო ძალების ამუშავებს და ამოქმედება თავისი ცხოვრება

ოთხშაბათს, 12 ინვარს, საღამოს 7½ საათზე,

მუშათა სახახლის დარბაზში

**ნ. რამიშვილი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე

„გადატრიალება სომხეთში და საქართველოს მდგომარეობა“.

ბილეთების ფასი 100 მან. 500 მანეთამდე. შემოსავალი გადაიდება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სასარგებლოდ. ბილეთები იყიდება მუშათა სახახლეში. 22 (1—1)



# საზოგადო საკრებ. დარბაზში

მე-9 ქვ. ასპინძის ათასეული

ოთხშაბათს, 12 იანვარს ქ. ბათომში.

**კულტურულ-განმანათლებელი** ნაწილის მიერ ამავე ათასეულის ჯარის კაცების მონაწილეობით იმართება წარმოდგენით,

კონცერტიული საღამო

I.

**იასონის ოინები**

II.

ასპინძის ათასეულის მომღერალთა გუნდი

**სანდრო კავსაძის** ლოტბარობით:

შეასრულებს რამოდენიმე ხალხურ სიმღერებს

ა) დიდება, ბ), პროლეტარების იჰმნი, გ) მუშების იჰმნი და სხვა

III.

წაკითხული იქნება სცენები და ლექსები

წაკითხულ იქნება ოცნება მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის გამოჩენილი მსახიობი **დიმოვი**. ახალგაზრდა მგოსნები სიმონ წყვილი და საწყალი მუში ცეკვა თამაში! კავკასიური და ევროპიული ლეკური პრიზით.

**ამერიკული აუქციონი**

დაუკრავს ამავე ათასეულის სამხედრო მუსიკა და ზურნა.

შემოსავალი გადიდება სრულად ათასეულში კულტურული მუშაობის სასარგებლოდ.

დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე.

დიასახლისნი: ქ-ნი ვაჩნაძისა და ქ. კანდელაკისა.


მოსაწყობით მაშინ შეიძლებოდა, თუ ამიერ კავკასიაში მშვიდობიანობა დამკვიდრდება, ყველა აქ მცხოვრებ, ერთა ურთიერთობა გარკვეულ, მეგობრულ სახეს მიიღებდა და ყველანი ვაიმსჭვალებოდენ ერთი აზრით: ერთად ცხოვრება და ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც ამიერ კავკასიის ერთა ინტერესებს რაიმე ემუქრებოდა.

საუბედუროთ ჩვენი დემოკრატიის ასეთი სურვილი ვერ პოულობდა სასურველ თანაგრძნობას მეზობელ ერთა დემოკრატიაში. უნდა ითქვას, რომ მეზობელ ერთა დემოკრატია ნაკლებ მომზადებული გამოდგა იმ დიდი საქმის საკეთებლათ, როგორიც არის სახელმწიფოს შენება და ერთა სოლიდარობა. მეზობელ სახელმწიფოში გაბატონდენ ისეთი ძალები, რომლებიც გათიშვასა და შურობაზე აშენებდენ თავის საგარეო პოლიტიკას, არც შინ და არც გარეთ არ უწევდენ ანგარიშს დემოკრატიას და დემოკრატიულ ზრახვებს. მათ ვერ მიაწყვეს თავიანთი სახელმწიფო, ვერ დაიახლოვეს ხალხი, ვერ შეკრეს მტკიცე ორგანიზაცია და მით აიხსნება ამ სახელმწიფოთა ერთი შეტევით დანგრევა. საკმარისი გახდა გარეშე ძალის პატარა შეტევა, რომ სახელმწიფო ხოხოლა დანგრეულიყო; ხალხი და სახელმწიფო დაშორებულნი იყვენ ერთი მეორეზე; ერთი მეორეს უფრო მტრობდა, ვინემ ენათესავებოდა. აღარ არის აზერბეიჯანი, სომხეთი, აქ უცხო ძალა ბრძანებლობს, აზერბეიჯანი და სომხეთი ეზიარა ამ უცხო ძალის საშინაო და საგარეო წესებს და მით ახალი ურთიერთობა იშვა ამიერ კავკასიაში და ჩვენი მდგომარეობაც გართულდა.

## მოკლე შენიშვნები.

Ix

ბიშ, პრაქტიკული მუშაობისაკენ!

— თვითმოქმედებისაკენ!

— საკუთარი ინიციატივისაკენ!

აი ეხლანდელი ლოზუნგი ეკონომიურ საქმეებში!

ამისათვის ჩვენ ეხლა ცოტა თუ ბევრათ ხელს გვიწყობს მდგომარეობაც.

— დასავლეთთან დამოკიდებულებაც აღსდგა და შედარებით გამოცდილებაც მივიღეთ.

საჭიროა ინიციატივა და დინჯი, დაკვირვებული საქმიანობა.

— ერთიც და მეორეც დაწყებულია.

დღეს უკვე ბევრი გვაქვს ამის მაგალითები.

ავიღოთ, პირველად ყოვლისა, თუნდაც, პურის საკითხი.

— „პური ჩვენი არსებისა“...

ვის ეგონა, რომ საქართველო გაბედავდა საკუთარ მოსავალზე იმედების დამყარებას

ჩვენს მტრებს პირზე ეკერათ სიტყვები:

„რუსეთის პურის გარეშე ვერ იცხოვრებთ“!.

მტრები, კიარა ბევრი ჩვენგანიც ფიქრობდა წინეთ რომ რუსეთის პური თუ არ დაგვირჩა ცხოვრება არ შეგვეძლებოდა...

მაგრამ ნათქვამია:

— „გაქრება მაჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“.

რუსეთის მოწყვეტილი საქართველო, სწორი ეკონომიური ხაზის საშვალებით, მართლაც გაექცა გასაჭირს, თავი დააღწია შიმშილს მაშინ, როდესაც მტრებს უკვე ელანდებოდათ ჩვენი ბავშვების შიმშილით ამოხოცვის სურათები...

მინისტრ ერაძეს დღემდე ტყვილა ეხურა უჩინ-მაჩინის ქუდი.

ამაში ის შეცდა.

დღემდე რომ ეთქვა მას ყველაფერი ის, რაც კედის საპასუხოთ სთქვა დამფუძნებელ კრებაში, გაცილებით უკეთესი იქნებოდა...

მისი სიტყვა გვარწმუნებს, რომ მუშა მინისტრის, ანუ, როგორც „განათლებული“ დეპუტატები უწოდებენ მარჯვნიდან „უდიპლომო მინისტრის“ ეკონომიური მოღვაწეობის პროგრამა დრაულ პრინციპებზე ყოფილა აგებული...

ერაძის მეტყველობამ ენა უნდა ჩაუშვას კრიტიკანებს და დემოკრატიის მუშაკებს უნდა შთაბეროს შემოქმედებით მეტი ცეცხლი და ინიციატივა.

მინისტრის დეკლარაციამ იარაღი აჰყარა ბევრ მის მოწინააღმდეგეთაც

მე ვგულისხმობ, რასაკვირველია, სერიოზულ და პატიოსან მოწინააღმდეგეთ.

ოპოზიციის ერთი უძლიერესი და უნიჭიერესი წარმომადგენელი მომარაგების მინისტრის განმარტებების შემდეგ სტოვებს შეურიგებლობას და გულწრფელად აცხადებს:

— „ერაძე, მე მომეწონა!“

რესპუბლიკა სასურსათო საქმეებში შეებრძოლა ხალხის ქონების განიავებას და უმთავრესათ პურის შინაური დამზადებას მიჰყო ხელი...

დღეს უკვე სრული გარანტია გვაქვს, რომ მომავალში პურის დათესვას გაუფართოვდება ნიადაგი და შეიძლება ჩვენთვის არც ის ფქვილი დარჩეს საჭირო, რომელსაც ჩვენ დღემდე ევროპიდან ვღებულობდით

მთავრობამ ამ საქმეში უდიდესი დახმარება უნდა გაუწიოს სხვა და სხვა ორგანიზაციებს, ადგილობრივ თვითმართველობებს და იმ კერძო პირებსაც, რომლებსაც სურთ საკუთარი მომარაგებისათვის დახვნადათესვა.

ჩვენ ვიცით, რაცომ გამოიღო ასეთი ნაყოფი საქართველოს ეკონომიური არსებობისათვის ბრძოლამ.

ჩვენ შეჩვეული ვიყავით რუსეთის თეთრ პურს, რომელიც მარტის თბილისს თვეში 16 ვაგონამდე ესაჭირებოდა წინეთ და როდესაც ხალხი დარწმუნდა, რომ ანარხიამ სამუდამოთ გათიშა რუსეთი და საქართველო.

ხალხმა თვით პოჰკიდა ხელი გუთანს და ნადური შემოსძახა!

საქართველოში წელს დაითესა იმდენი, რამდენიც არასოდეს არ დაოესილა, პურის ჯეჯილმა ოქროს ფერადებათ მოაყვითლა ქართლ-კახეთის დაუთესავი მინდვრები და და სავლეთ საქართველოს სანახევროთ მიუვალ ქედების კალთებზეც ამწვანდენ სიმინდის ყანები...

დაუთესავი დარჩა მხოლოდ ისეთი ადგილები, სადაც უწყლობისგან მოსავალი საეჭვო იქნებოდა.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ როგორც ცენტრში, აგრეთვე პერიფერიებში სერიოზულათ დასმულია მელიორაციის საკითხი და მის პრაქტიკულათ მოგვარებასაც უკვე მოჰკიდეს ხელი.

მე მახსოვს, როდესაც გაგიჟებულმა რიონმა ნიგოითის სადგურთან ეზოებიც ჩამორეცხა, წაიღო მთელი მოსავალი და გაბრაზებული სოფლის მუშები აცეტებულ კობრებს თავს ტუკებით ურტყავდენ...

ენერგიულმა ოზურგეთის ერობამ გასულ წელს შეასრულა უდიდესი საქმე, რომელსაც ადგილებში მოჰყავს მნახველები.

რიონის პირას გაყვანილია სამოცვერსამდე ფისული ქვის კედელი რიონის კაპრიზებისაგან ყანების და სახლების დასაცავათ.

ერთს შიშობდენ, ეგონათ რომ კედელი ვერ გაუძლებდა წყლის ძალას, მაგრამ წელს მან გურულებს გამოცდა ჩააბარა და ყანები წალეკვისაგან გადაარჩინა

ეხლა რიგშია მეორე საჭირო საქმე:

მცინარე ხეის წყლის ნარიონარში გადაშვება, რაც სიცოცხლის ახალ შუქს ჩაჰბერავს ციებ-ცხელებით არეკილ ჭაპანა-ნიგოითის მიდამოებს.

პურით და სიმინდით მომარაგების მხრივ მომავალი წელი უფრო იმედიანი იქნება.

დღემდე ხალხი თესავდა საკუთარი ინიციატივით, მაგრამ ერთი ნაწილი თავისუფალი მიწებისა მაინც დაუთესავი რჩებოდა

ამ დღეებში რესპუბლიკაში გამოიცა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც ყველა სავარგისი მიწები მომავალი წლისათვის უნდა დაითესოს..

საქმეში უნდა ჩაებას ყველა ორგანიზაციები და ადგილობრივი ერთეულები.

ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ გვარდიის მთავარი შტაბის ინიციატივით.

ბევრს გაუკვირდება:

— სად გვარდია, სად მეურნეობაო?!.

ნამდვილათ კი ჩვენი სახელოვანი გვარდიელები მარტო ბრძოლაში გამოწაფულნი როდი ყოფილან!!

მათ მშვენივრათ უხსცვბათ ნადურის შემოძახებაც!

მთავარ შტაბს გამოუყვია განსაკუთრებული სამეურნეო კომისია, რომელსაც, თუ არ ვცდები, ხელმძღვანელობს ვლადიმერ ჯიბლაძე.

საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველ გმირებს, პირველ გამოძახილზე სისხლიდან რომ იცლებიან გადაუწყვეტიათ საკუთარი სარჩოს მოყვანა და თავისი მადლიერი ხელით შესდგომიან გვარდიის საჭიროებისათვის ყანების დამუშავებას...

ყარაიზის პურით დათესილი ათასეული დესეტინა ყანები და ბოსტნები გვაძლევენ მაგალითს—თუ როგორ უნდა ინიციატივის გამოჩენა.

გვარდია ქვეყნის დამცველი, გვარდია ყანების მთესველი!! .

ამ შემეცნებაში გამოიხატება ჩვენი გმირების კეთილშობლური ბუნება და მისწრაფება!

ჩვენ ვიცით, რომ გვარდიის ადგილობრივი შტაბებიც ფართეთ კიდებენ ხელს სამეურნეო საქმეებს კერძოთ ბათომში უკვე აღრიცხულია მიწები გვარდიის საჭიროებისათვის.

თუ დღემდე ქალაქები და ერობები ხშირათ აფრენდენ დეპეშებს. ყარაიაზისაკენ ვლ. ჯიბლაძესთან

— „გვიშველეთ, თივა მოგვაწოდეთო!..

მომავალში ის საჭირო არ უნდა დარჩეს. ადგილობრივი ორგანიზაციებს საშვალება აქვს თავისი მომკან, საჭირო მხოლოთ პირველი ნაბიჯის გადადგმა, უნარის გამოჩენა.

**კ. ფირცხალაშვილი.**

## რკინის გზათა ელექტროფიკაცია.

რკინის გზის დეპარტამენტი ამუშავებს პროექტს რესპუბლიკის რკინის გზათა ელექტროფიკაციის შესახებ

ეს უაღრესად საყურადღებო ამბავია და ქართველი ხალხი უდიდეს სიხარულით შეხვდება მას. სწრაფი ჩქარები, და წყალ...
ლები, ცნობილია, რომ საქმო...
ქტრო... ...თვის.

რკინის გზათა ელექტროფ...
ქვეყანაში მაღალ ტეხნიკის შ...
ნა იქნებოდა, და გარდა ამის...
გაგვანთავისუფლებდა ჩვენ ...
რებულ მდგომარეობისან, რო...
შიც გვაყენებენ, ბაქოს ურო ...
ტიკოსები ნავთის დაჭერით.
ქტრო ფიკაციის დროს რ...
გზები გაცილებით უფრო ნა...
უნდა დაგვიჯდეს ვიდრე დღეს...
დება.

რკინის გზის დეპარტამენტმა...
შეიძლება უნდა დააჩქაროს ამ...
ექტის ცხოვრებაში გასანამდვ...
ლად გამოტანა.

როგორც ცნობებია ჯერჯერო...
განზრახულია რკინის გზათა ...
სავლეთ შტოს ელექტროფი...
ე. ი. მატარებელთა ელექტრ...
ენერგიით მოძრობა, ჩვენ გვ...
ვსთქვით, რომ რკინის გზათა ელ...
ტროფიკაცია არა ნაკლებ სა...
ლოა, დასავლეთის ხაზზე რი...
წყლის ენერგია მეტად ძლ...
იქნება.

საერთოდ ელექტროფიკაცია...
ში გაცილებით უფრო ად...
ვიდრე სხვაგან სადმე, ჩვენი წ...
ბის გამოყენება შეიძლება არა...
ტო მოძრაობისთვის არამედ ...
თებისთვის და გათბობისთვისაც.

მეტად სიმპატიური და ერთ...
ლი დაწყებაა რკინის გზათა ელ...
როფიკაცია და ვისურვებთ მის...
შემო ნაყოფიერ შეუჩერებელ...
შაობას.

ი. ...

## უკანასკნელი ცნობებ...

(უცხოეთის გაზეთებიდან)

სოციალისტების დაღუპვა.

გაზ. „ჰუმანიტე“-ს ცნობით ...
ზე დღლვის გამო მოსკოვიდან ...
რუნებული სოციალისტურ დ...
გაციის სამი წევრი დაღუპულა...
შორის არის ცნობილი რე...
ლეფევრი, რომელმაც თავი გა...
ჩინა სტრასბურგის უკანასკნელ ...
ტიულ ყრილობაზე. ეს დელეგ...
გაგზავნილი იყო მოსკოვში ...
რანგეთის პროფესიულ კავში...
უმცირეს ბიუროს.

პეტროგრადი უმუშახელოთ

— პეტროგრადში „პეტრ. ...
სტიის“-ს ცნობით ოქტომბ...
შრომის ბირჟამ მოითხოვა 75...
მუშა წარდგენილი იყო 6903 ...
ამათში 541 ზედამხედველი მ...
თონეა.

შრომის ფრონტზე

გაზ. „იზვესტია“ № 256 ...
ადრე თუ გვიან საერთაშ...
ჟანდარმერია გამონახავს ერთ ა...
რალს ან ერთ გენერალს შრ...
რევოლიუციის დასაღრჩობად.

ამიტომ ჩვენ ყველა ენე...
უნდა მივმართოთ შიგნითი გამ...
ბისკენ, უნდა გავეშუროთ შრ...
ფრონტზე, წითელი არმიის რი...
მთლად უნდა შემცირდეს და ...
გადავიდეს შრომის ფრონტზე“.

საბჭოთა ინჟენრები

საბჭოთა რუსეთში ინჟენ...
და საერთო ტეხნიკურ ხელმ...
ნელთა ხელის სიმცირის გამო ...
მართეს შემდეგ ზომას. ჯარ...
გაწვეული სტუდენტები იძულ...
მიიღებენ ქ. პეტროგრადში სა...
ფესიო განთლებას, ამ მიზნით ...
მაცადინობს 7,000 სტუდ...
„კრასნაია გაზეტა“-ს სიტყვით ...
მა ნაწილმა 1700 კაცმა რომე...
სასწრაფო კურსით მეცადი...
გამოცდა უნდა ჩააბაროს 192...
იანვრამდე, მეორე ჯგუფი კი ...
დინეს ნორმალურად.

ტრიბუნალის აღშფოთება

„იზვესტიების“-ს სიტყვით ...
ვინციის მოქალაქენი და სხვა ...
ყოველ დღე აუარებელ საჩივ...
ადგენენ საბჭოთა ჩრეზვიჩაი...
ბიუროკრატმოქმედების შესახებ.
ვესტია“ ამბობს, რომ ეს საჩივ...